ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6224351

ნომერი: AR1934920

თარიღი : 18.11.2022

გაცემის თარიღი : 28.11.2022

გაცნობის თარიღი : 30.11.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერწო , N 15 ; ქალაქი თბილისი , ერწოს ქ. , N15-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ერწო , N 17 ; ქალაქი თბილისი , ერწოს ქუჩა კორპ.N13-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ჩაგანავა პ/ნ 01017043074
- სავანელის #18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 08/02/2022 წლის N 5796383 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე :
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 18/11/2022 წლის AR1934920 განცხადებით მომართა მოქალაქე ლუკა ჩაგანავამ და მოითხოვა სამსახურის 08/02/2022 წლის N5796383 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
08/02/2022 წლის N5796383 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაიცა ს/კ 01.12.08.010.114 – 4370 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელის ფართიც და კონფიგურაციაც 27/09/2022წ. საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაკორექტირდა ს/კ 01.12.08.010.116 – 4498 კვ.მ-ად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის

არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 08/02/2022 წლის N5796383 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი (ს/კ N 01.12.08.010.114, ფართობი: 4370 კვ.მ.) მრავალბინინი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08/02/2022 წლის N5796383 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში და მის დანართში ცვლილების შეტანა განახლებული კონფიგურაციით (4498კვ.მ) და 01.12.08.010.116 ს/კ-ის დაფიქსირების მიზნით.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობით სანებართვო დოკუმენტაციის შემუშავებისა და მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განვითარების მიმართ დადგენილი მოთხოვნები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 08/02/2022 წლის N5796383 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო ობეიქტის ფართი დაფიქსირდეს 4498 კვ.მ; ს/კ 01.12.08.010.116, ხოლო განაშენიანების რეგულირების ხაზი (უკანა ეზოსთვის) და ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი N5796383 ბრძანების დანართის შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1 . შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08/02/2022 წლის N5796383 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ:
· საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს 01.12.08.010.116 ; მიწის ნაკვეთის ფართად 4498 კვ.მ; განაშენიანების რეგულირების ხაზი (უკანა ეზოსთვის) და ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი N5796383 ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08/02/2022 წლის N5796383 ბრძანებასთან ერთად.

·

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

· გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.